სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №-17

2011 წ. -22- -მარტი-

ქ. თბილისი

2011 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსის პროგრამისა და პირობების, კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმისა და პროექტის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ

,,მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის, ,,საკონფერენციო გრანტების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 ივლისის №149 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ", ,,ე" და ,,თ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2010 წლის 17 სექტემბრის №01 ოქმის (გადაწყვეტილების) გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2011 წლის 22 მარტს ,,2011 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსი."
2. ,,2011 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსში" ელექტრონულად დარეგისტრირების ბოლო ვადად განისაზღვროს 2011 წლის 29 აპრილი, 18:00 საათი.
3. „2011 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსში" მონაწილეობის შესახებ განცხადების ფონდში წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2011 წლის 3 მაისი, 18:00 საათი.

4. დამტკიცდეს ,,2011 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსში" მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.

5. დამტკიცდეს ,,2011 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსის" პროგრამა, პირობები და პროექტის შეფასების კრიტერიუმები ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.

6. დაევალოს ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორს (თ. გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

სულხან სისაური